საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ზურაბ ძლიერიშვილის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	17	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	91	100

სახელი, გვარი: **გოგა კიკილაშვილი**

თარიღი: 29 / 04 / 2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

არამოსამართლე წევრი

გოგა კიკილაშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - ,,საბჭო") 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის

ზურაბ ძლიერიშვილის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

1.1. ,,საბჭოს" 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 3 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

1.2. ,,საბჭოს" 2024 წლის 22 თებერვლის №1/10 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა **ზურაბ ძლიერიშვილი** (შემდგომში - ,,კანდიდატი").

1.3. ,,საბჭოს" შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ,,კანონი") 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია ,,კანდიდატის" შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

1.4. ,,კანონის" 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 24 აპრილს, ჩემი მონაწილეობით, ,,საბჭომ" ჩაატარა ,,კანდიდატის" საჯარო მოსმენა.

1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, ,,კანონის" 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, ,,კანდიდატი", როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი, შევაფასე - ,,კანონის" 35^1 მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. ,,საბჭოს" შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

2.1.1. ,,კანდიდატი" 50 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (არის იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ). სპეციალობით მუშაობს 28 წელზე მეტია, მათ შორის - მოსამართლედ 9 წელსა და 6 თვეზე მეტია. კერძოდ:

- ✓ 1998-2006 წლებში იყო თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ხოლო 2006-2008 წლებში - თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრი;
- ✓ 2001-2006 წლებში იყო საქართველოს უზენაესი სასამართლო სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი;
- ✓ 2001-2003 წლებში, ასევე - 2014 წელს იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების კომისიის წევრი;
- ✓ 2005-2006 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდების კომისიის წევრი;
- ✓ 2003-2007 წლებში იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციურ სარჩელებზე მოწვეული სპეციალისტი;
- ✓ 2006-2008 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტრო მოწვეული ექსპერტი სხვადასხვა საერთაშორისო არბიტრაჟებში მიმდინარე დავებში საექსპერტო-სამართლებრივი დასკვნების მომზადებაში;
- ✓ 2009-2014 წლებში: იყო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრი; ასევე - იყო თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი არბიტრი;
- ✓ 2012-2014 წლებში იყო კომპანიების გადახდისუუნარობის საქმეებზე მომრიგებელი საბჭოს სასამართლოს მიერ დანიშნული წევრი;
- ✓ 2013-2014 წლებში იყო საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია საგანმანათლებლო საბჭოს წევრი.
- ✓ 2014 წლის 17 ოქტომბრიდან გამწესდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ და სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებდა სხვადასხვა პალატაში (სამოქალაქო საქმეთა, საკვალიფიკაციო, სადისციპლინო), იყო დიდი პალატის წევრიც, 2015-2017 წლებში იყო საკვალიფიკაციო პალატის თავმჯდომარე, ხოლო 2020-2022 წლებში - სადისციპლინო პალატის თავმჯდომარე.

2.1.2. ,,კანდიდატის" შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები ,,კანდიდატს" დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

2.1.3. ,,კანდიდატის" შესახებ ინტერნეტ-სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მის მიერ განხილულ საქმეებთან დაკავშირებით. ,,კანდიდატი" სარგებლობს სოციალური ქსელებით. იგი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი /მხარდამჭერი/ შემომწირველი.

2.1.4. ,,კანდიდატს" სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; აქვს მიმდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორიით. ,,კანდიდატის" საკუთრებად რეგისტრირებულია:

საცხოვრებელი ბინები ქ. თბილისში, 35 $მ^2$ ფართით 44 $მ^2$ ფართით; მიწის ნაკვეთი ღუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. მჭადიჯვარში, 7560 $მ^2$ ფართით. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია არის შესაბამისობაში ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის.

2.1.5. ბოლო სამი წლის განმავლობაში, ,,კანდიდატს" არავითარი სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაკისრებია. სასამართლოში ,,კანდიდატის" მხარედ მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს; ის არ ყოფილა ცნობილი დაზარალებულად სისხლის სამართლის საქმეზე; მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება არ განხორციელებულა.

2.1.6. ბოლო სამი წლის განმავლობაში, ,,კანდიდატს" საქმის განხილვის საპროცესო ვადები დაცული აქვს საქმეთა 98.9% ძემთხვევაში; ასევე - საქმეთა 100% შემთხვევაში აქვს დაცული გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადებიც; საანგარიშო პერიოდში (967 დღე) ,,კანდიდატმა" დასრულა 495 საქმის განხილვა.

2.1.7. ,,კანდიდატმა" წარმოადგინა მის მიერ განხილულ 7 საქმეზე გამოტანილი განჩინებები, რომელთა გაანალიზებით დგინდება, რომ ,,კანდიდატი" ხანდახან იყენებს რთულ წინადადებებს, სამოტივაციო ნაწილში საკმაოდ დიდ ადგილს იკავებს ზოგადი თეორიული მსჯელობა, რომელიც სამართლებრივი შეფასების განხორციელებამდე ერთგვარი შესავლის როლს ასრულებს, მსჯელობა გაჯერებულია დიდი რაოდენობის ციტირებებით სხვადასხვა სამეცნიერო წყაროებიდან და სასამართლო გადაწყვეტილებებიდან, რის შედეგადაც გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი აკადემიური ნაშრომის ფორმას იღებს. ერთის მხრივ, პროფესიული წრეების და სასამართლო პრაქტიკის მკვლევართათვის ეს გარემოება შესაძლოა, მისასალმებელი იყოს, თუმცა სასამართლო სერვისების მომხმარებელთა უმეტესობა არის არაიურისტი, რომელთაც უჭირთ რთული სამართლებრივი ფორმულირებების სათანადოდ გაგება და დასკვნის გამოტანა, ამიტომ წერის არსებული სტილი გარკვეულწილად ართულებს სასამართლო გადაწყვეტილების არსის სათანადოდ აღქმას.

2.1.8. ,,კანდიდატს" მონაწილეობა აქვს მიღებული რიგ სასწავლო და სამეცნიერო ღონისძიებებში (მაგ: სემინარი თემაზე ,,სამოქალაქო სამართალწარმოების აქტუალური საკითხები"; სამეცნიერო ფორუმი თემაზე: „Rechtsvergleichung und Privatrecht im deutsch – georgischen Diskurs" Universität Des Saarlands, Saarbrüken, Germany 25-26 October, 2023 მომხსენებელი/მონაწილე „Materialler Schadenersatz bai Verkehrunfällen" (,,სატრანსპორტო საშუალების მფლობელის მიერ ზიანის ანაზღაურება დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის გამოწვევები"); საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი თემაზე: „კაპიტალის ბაზრის სამართლის განვითარების გამოწვევები და პერსპექტივები: ევროპული დისკუსი და მისი მნიშვნელობა საქართველოს კაპიტალის ბაზრის რეგულირებისათვის" და ა.შ.). ღონისძიებების სრული სიის წარმოდგენა დიდი მოცულობიდან გამომდინარე რთულია და არც არსებობს ამის საჭიროება.

2.1.9. ,,კანდიდატს" 2005 წელს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით.

2.1.10. ,,კანდიდატი" 1997 წლიდან დღემდე ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ა.შ.) თუ სხვადასხვა უწყების (საქართველოს ნოტარიუსთა პალატა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია და ა.შ.) სასწავლო ცენტრებში, ასევე - საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში.

,,კანდიდატის" ავტორობით გამოქვეყნებულია უამრავი სამეცნიერო ნაშრომი (სახელმძღვანელო, სტატია, მონოგრაფია და ა.შ.). შეფასებაში სამეცნიერო ნაშრომების სრული ნუსხის წარმოდგენის საჭიროება არ არის საჭირო, დამატებით დემონსტრირებას არ საჭიროებს ის გარემოება, რომ „კანდიდატი" აღიარებული და პატივსაცემი მეცნიერი და პედაგოგია.

2.1.11. ,,კანდიდატი" ფლობს ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს.

2.2. კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:

2.2.1. ,,კანდიდატის" საჯარო მოსმენის სრული ვიდეო-ჩანაწერი ხელმისაწვდომია ბმულზე:

https://www.youtube.com/watch?v=vARAa0oJJt0

საჯარო მოსმენის დროს კანდიდატს ,,საბჭოს" წევრებმა დაუსვეს ზოგადი და სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

2.2.2. დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები ძირითადად იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული; თუმცა, არაპირდაპირმა პასუხებმა და დიდი ოდენობით დამატებითი ინფორმაციის მითითებამ, რაც ზოგჯერ სცილდებოდა კითხვის არსს, გარკვეულწილად გაართულა დასმულ შეკითხვებზე პასუხის მიღების პროცესი, ასევე გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები გაცემულ პასუხებში, მაგალითად:

2.2.2.1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოში წარდგენილი საჩივრის დასაშვებობის წინაპირობების განხილვის დროს, ,,კანდიდატს" დასაშვებობის წინაპირობების ჩამოთვლის დროს არ დაუსახელებია ის საკვანძო გარემოება, რომ საჩივრის ავტორი თავად უნდა იყოს კონვენციით გათვალისწინებული უფლების დარღვევის უშუალო ,,მსხვერპლი", რაც მას აქცევს საჩივრის წარდგენის უფლების მქონე სუბიექტად

2.2.2.2. საქართველოს პარლამენტის საგამოძიებო კომისიის მანდატზე საუბრისას, ,,კანდიდატს" არ მიუთითებია, რომ აღნიშნული კომისიის მანდატი ვრცელდება მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე კანონმდებლობის შესაბამისად ანგარიშვალდებულ სუბიექტებზე, რაც არ მოიცავს სასამართლო ხელისუფლებას;

2.2.2.3. ,,კანდიდატმა" სრულყოფილად ვერ აღწერა ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის" ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული მექანიზმი;

2.2.2.4. ხარვეზი გამოვლინდა მხილების ინსტიტუტის დახასიათების დროსაც, კერძოდ „კანდიდატმა" არასრულად აღწერა მხილების ინსტიტუტის არსი და მამხილებლის დაცვის გარანტიები და პროცედურები.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

3.1. „კანონის" 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების კრიტერიუმი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;

ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;

გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;

დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;

ე) ფინანსური ვალდებულება – მხოლოდ სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის ან რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესებული მოსამართლის შეფასების შემთხვევაში.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი და აკმაყოფილებს ზემოჩამოთვლილ მოთხოვნებს, თუ შემფასებლის წინაშე არ არის წარმოდგენილი ამ პრეზუმფციის გაქარწყლებისათვის საჭირო სათანადო და სანდო ინფორმაცია.

3.2. საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატის შესახებ მიღებული/მოძიებული ინფორმაციის[1] ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, შემდეგი:

3.2.1. „კანონის" 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მახასიათებლით - **„პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი"** შეფასების დროს კანდიდატის მიმართ მოქმედებს პრეზუმფცია, რომ ვიდრე სათანადო და სანდო მონაცემთა ერთობლიობით არ დადასტურდება საწინააღმდეგო, კანდიდატი აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

„კანონის" 35[1] მუხლის მე-4 პუნქტით განისაზღვრება ზემოხსენებული კრიტერიუმის კომპონენტები: „კანდიდატის", როგორც მოსამართლის და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა, აგრეთვე, სამართლისმოყვარეობა.

---

[1] იხ. წინამდებარე შეფასების მე-2 პუნქტი.

ვინაიდან მოძიებული ინფორმაციის შესწავლის და მოსმენის შედეგების შეფასების შედეგად არ იკვეთება გარემოება, ან/და ინფორმაცია, რომელიც გააქარწყლებდა პრეზუმფციას, რომ „კანდიდატი" აკმაყოფილებს ყველა ზემოხსენებულ კომპონენტს, მიმაჩნია, რომ იგი აკმაყოფილებს „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის" მახასიათებელს.

3.2.2. მოძიებული ინფორმაციის შესწავლის და მოსმენის შედეგად შემექმნა შთაბეჭდილება, რომ „კანდიდატი" არის დამოუკიდებელი და პრინციპული პიროვნება, ავლენს ზეგავლენის მიმართ მედეგობას და პიროვნული სიმტკიცეს.

*შესაბამისად, მიმაჩნია, რომ „კანდიდატი" აკმაყოფილებს „კანონის" 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული[2] **„დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის"** მახასიათებელს.*

3.2.3. „კანდიდატი" კორექტულია კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, არის თავდაჭერილი, აქვს საკუთარი ემოციების მართვის უნარი, იცავს სამოსამართლო ეთიკას, აქვს მოსამართლის მაღალი ნოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი. ამიტომ, დავრწმუნდი, რომ ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი სამართალწარმოება) დროს, კანდიდატის ქცევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი/ სამართლებრივი რეალობის ადეკვატური.

*შესაბამისად, მიმაჩნია, რომ „კანდიდატი" აკმაყოფილებს „კანონის" 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ[3] **„პიროვნული და პროფესიული ქცევის"** მახასიათებელს.*

3.2.4. „კანდიდატს" აქვს მაღალი საქმიანი და მორალური რეპუტაცია/ ავტორიტეტი იურიდიულ წრეებში; ამ დასკვნის გამაქარწყლებელი, ასევე - მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია.

*ზემოაღნიშნული ძაძლევს საშუალებას მივიჩნიო, რომ „კანდიდატი" აკმაყოფილებს „კანონის" 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ[4] **„პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის"** მახასიათებელს.*

3.2.5. „კანდიდატის" საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული აქტივების, შემოსავლის ოდენობის, შემოსავლის წყაროს და ნაკისრი ვალდებულებების ანალიზის შედეგად მიმაჩნია, რომ არ არსებობს წინააღმდეგობა მოსამართლის ქონებრივ ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს საფრთხეს მოსამართლის მიუკერძოებლობისადმი.

---

[2] კომპონენტები განისაზღვრება იმავე მუხლის მე-5 პუნქტით.
[3] კომპონენტები განისაზღვრება ამავე მუხლის მე-6 პუნქტით.
[4] კომპონენტები განისაზღვრება ამავე მუხლის მე-7 პუნქტით.

*შესაბამისად, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი" აკმაყოფილებს „კანონის" 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ[5] „**ფინანსური ვალდებულების**" მახასიათებელს.*

3.2.6. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან „კანდიდატი" აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ხუთივე მახასიათებელს, გავაკეთე „კანონის" 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დასკვნა, რომ **„კანდიდატი" სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს**.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. „კანდიდატის" შეფასება ეფუძნება საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატის შესახებ მიღებული/მოძიებული დოკუმენტური მასალების (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზს, რის შედეგადაც შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით მივედი შემდეგ დასკვნამდე:

*4.1.1. „კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის - **„სამართლის ნორმების ცოდნა"**[6] მაქსიმალური შეფასება ამავე „კანონის" 35[1] მუხლის მე-17 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად შეადგენს 20 ქულას.*

„კანდიდატის" შესახებ მოპოვებული ინფორმაციის და მოსმენის შედეგების გათვალისწინებით[7] მიმაჩნია, რომ „კანდიდატს" აქვს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ძალიან კარგი ცოდნა. სპეციალიზაციის მიმართულებით კანდიდატის სიღრმისეული ცოდნა კითხვის ნიშნებს არ წარმოშობს, თუმცა საკასაციო სასამართლოს მოსამართლეს უწევს მართლმსაჯულების განხორციელება როგორც სამოქალაქო, ისე ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის მიმართულებით, ამიტომ გარკვეული დონის უნივერსალურობა მოეთხოვება კანდიდატს.

კანდიდატის სპეციალიზაციის და წინამდებარე შეფასების 2.2.2. პუნქტში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, *„სამართლის ნორმების ცოდნის" კომპონენტში „კანდიდატს" ვაფასებ **19** ქულით.*

*4.1.2. „კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის **„სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია"**[8] მაქსიმალური შეფასება „კანონის" 35[1] მუხლის მე-17 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად შეადგენს 20 ქულას.*

„კანდიდატს" გააჩნია ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი და მოსამართლედ მუშაობის სათანადო პროფესიული გამოცდილება. მის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებები დასაბუთებული და დამაჯერებელია. უშუალოდ მოსმენის დროს ნაკლებად

---

[5] კომპონენტები განისაზღვრება ამავე მუხლის მე-8 პუნქტით.
[6] კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-9 პუნქტით.
[7] მოსმენის დროს დაფიქსირებული ხარვეზები იხ. წინამდებარე შეფასების 2.2.2 პუნქტში.
[8] კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-10 პუნქტით.

მოხდა კანდიდატის მხრიდან სამართლებრივი დასაბუთების უნარების დემონსტრირება, რადგან პასუხები უმეტესწილად ეფუძნებოდა ზოგად-თეორიულ მსჯელობას და თავისი შინაარსით უფრო შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვის ხასიათს ატარებდა, ამასთან, ზოგ შემთხვევაში მსჯელობა იმდენად ფართო და დამატებითი ინფორმაციით დატვირთული იყო, რომ გარკვეულწილად დაშორდა შეკითხვის საკვანძო ასპექტებს და მსმენელისთვის გართულდა კონკრეტული პოზიციის იდენტიფიცირება.

რაც შეეხება შესაფასებლად წარმოდგენილი სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზს, ერთადერთ ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს გადაწყვეტილებებში ძალიან ფართო და მრავალმხრივი თეორიული მსჯელობა,[9] რაც, ჩემი სუბიექტური შეფასებით, პროფესიული წრეებისთვის, განსაკუთრებით კი სამართლის მკვლევარებისთვის, საინტერესო და სასურველია, მაგრამ სასამართლო სერვისების არაიურისტი მომხმარებლებისთვის ართულებს სასამართლო გადაწყვეტილების აღქმადობას.

ჩემი შეფასებით, სასამართლო სერვისების მომხმარებლებისთვის გადაწყვეტილების შინაარსის სიმარტივე და აღქმადობა ის ერთ-ერთი არსებითი კომპონენტია, რაც განაპირობებს გადაწყვეტილების მიმართ მხარეთა მიმღებლობას, შესაბამისად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ მხარეს დაუბრკოლებლად შეეძლოს გადაწყვეტილების შინაარსის გაგება.

*მოსმენის შედეგების და შესაფასებლად წარმოდგენილი გადაწყვეტილებების შესწავლის შედეგად „სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის" კომპონენტით „კანდიდატს" ვაფასებ **18** ქულით.*

*4.1.3. „კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის - **„წერის უნარი"** [10] მაქსიმალური შეფასება ამავე „კანონის" 35[1] მუხლის მე-17 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად განისაზღვრება 20 ქულით.*

„კანდიდატის" მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის[11] შესწავლით დავადგინე, რომ „კანდიდატის" მსჯელობა ლოგიკური და ანალიტიკურია, თუმცა, დაფიქსირებული ხარვეზები სასამართლო სერვისების მომხმარებელთათვის, ვინც არ არის პროფესიონალი იურისტი, აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემას გარკვეულწილად აფერხებს. აქაც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მითითებული ხარვეზი არ მიემართება კანდიდატის კომპეტენტურობას, არამედ იგულისხმება ტექსტის და წინადადებების მოცულობა, გამოყენებული სასამართლო პრაქტიკის და სამეცნიერო წყაროების სიმრავლე, რაც ართულებს გადაწყვეტილების ტექსტში გატარებული მსჯელობის სწრაფად და ადვილად აღქმას.

„კანდიდატის" წერის სტილი მისი სირთულის და კომპლექსურობის გათვალისწინებით სრულიად შესაბამისია ნორმის ერთგვაროვანი განმარტების დამდგენი დიდი პალატის გადაწყვეტილებების, თუ სამეცნიერო ნაშრომისთვის, თუმცა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, თუ ვიხელმძღვანელებთ იმ ფუნდამენტური პრინციპით, რომ მართლმსაჯულება უპირველეს

---

[9] იხ. შეფასების 2.1.7. პუნქტი.
[10] კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-11 პუნქტით.
[11] იხ. შეფასების 2.1.7 პუნქტი.

ყოვლისა ხორციელდება ხალხისთვის, სასამართლო გადაწყვეტილება ადვილად აღქმადი უნდა იყოს საზოგადოებისთვის.

*ზემოაღნიშნულიდან გაძომდინარე, „კანდიდატს" „წერის უნარის" მახასიათებლის მიხედვით ვაფასებ **17** ქულით.*

*4.1.4. „კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის - **„ზეპირი კომუნიკაციის უნარი"**[12] მაქსიმალური შეფასება ამავე „კანონის" 35[1] მუხლის მე-17 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის თანახმად შეადგენს 15 ქულას.*

„კანდიდატი" გამართულად მეტყველებს, აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, ფაქტების ანალიზის საფუძველზე მსჯელობს ლოგიკურად, ღიაა და სხვის აზრს (მათ შორის - განსხვავებულს) ისმენს მოთმინებით.

ისევე როგორც წერის უნარის კომპონენტის შემთხვევაში, ზეპირი კომუნიკაციის დროსაც ხარვეზად შეიძლება მივიჩნიო ძალიან ფართო მსჯელობა და ჭარბი დამატებითი ინფორმაციის კონცენტრაცია, რაც ზოგჯერ იწვევს ძირითადი განსახილველი თემიდან დისტანცირებას. ასეთ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი მოსმენის დროს, როდესაც რამდენიმე შეკითხვაზე პასუხი იყო იმდენად ვრცელი და დამატებითი ინფორმაციით გაჯერებული, რომ „კანდიდატი" თავისდაუნებურად დაშორდა შეკითხვის ძირითად ნაწილს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიული დებატების, თუ აკადემიური საქმიანობის ფორმატში ზეპირი კომუნიკაციის ასეთი სტილი ცალსახად მისასალმებელია, თუმცა სასამართლო სერვისების მომხმარებელთათვის შესაძლოა, ინფორმაციის მიღების და სათანადო დასკვნების გამოტანა სირთულეს წარმოადგენდეს.

*„ზეპირი კომუნიკაციის უნარის" მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს" ვაფასებ **13** ქულით.*

*4.1.5. „კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმი **„პროფესიული თვისებები (მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში)"**[13] ამავე „კანონის" 35[1] მუხლის მე-17 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის თანახმად ფასდება არაუმეტეს 15 ქულით.*

„კანდიდატი" პუნქტუალური, გულმოდგინე, შრომისმოყვარე და მიზანდასახულია, აღჭურვილია კარგი მენეჯერული უნარ-ჩვევებით; საქმეს ამზადებს ჯეროვნად და სათანადო პასუხისმგებლობით; მისი ქცევა სასამართლო დარბაზში ასევე არის სათანადო, რის გამოც ის სასამართლო სხდომას წარმართავს კარგად, გადაწყვეტილებასაც იღებს დაუხმარებლად და დამოუკიდებელი აზროვნების საფუძველზე; აქვს სტრესულ სიტუაციაში სწრაფად მუშაობის კარგი უნარი, რის გამოც არის პროდუქტიული და ზედმიწევნით იცავს საპროცესო ვადებს.

*„პროფესიული თვისებების (მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში)" მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს" ვაფასებ **14** ქულით.*

---

[12] კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-11 პუნქტით.
[13] კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-12 პუნქტით.

*4.1.6. „კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმი **„აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა"** ამავე „კანონის" 35[1] მუხლის მე-17 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის თანახმად ფასდება არაუმეტეს 5 ქულით.*

„კანდიდატი" პროფესიული წვრთნის პროგრამებში ხშირად მონაწილეობს, ზრუნავს თვითგანვითარებასა და შეძენილი ახალი ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ინტეგრაციაზე. ამდენად, მას გააჩნია სათანადო ინტერესი ახალი ცოდნისა და უნარების შეძენაზე, ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და შეძენილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში.

„აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის" მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს" ვაფასებ მაქსიმალური 5 ქულით.

*4.1.7. „კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ი" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმი **„პროფესიული აქტივობა"** ამავე „კანონის" 35[1] მუხლის მე-17 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის თანახმად ფასდება არაუმეტეს 5 ქულით.*

„კანდიდატი" ხშირად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში, ასევე ეწევა წარმატებულ სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას. მოძიებული მონაცემებიდან არ იდენტიფიცირდება კანდიდატის მიერ მოსამართლეთა კონფერენციასა თუ „საბჭოს" წინაშე განსახილველი საკითხებისა და ინიციატივების წარდგენის ფაქტები, თუმცა კანდიდატის ძალიან წარმატებული სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა მაძლევს საფუძველს, რომ „პროფესიული აქტივობის" მახასიათებლის გათვალისწინებით *„კანდიდატი" შევაფასო მაქსიმალური 5 ქულით.*

*4.2. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, „კანდიდატს" ჯამურად ვაფასებ 91 ქულით.***

ხელმოწერა: